სასოფლო გაზეთი

მეოთხე წელიწადი

გაზეთის ფასი:

	გაგზავნით ტფილისში	გაუგზავნელათ:
	და გარეშე ადგილებში:	მან.
ერთის წლისა	— 4 მან.	— 3
ნახევრის წლისა	— 3 —	— 2
სამის თვისა	— 1 მ. 50 კ.	— 1 მ.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-°.

გამოდის შაბათობით.

Ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 21. შაბათი. II. 8 ნოემბერს 1869 წ.

შინაარსი:

— სასოფლო საზოგადოებათა.—შინაური ცნობები.—სამეურნეო ცნობანი. —სამეცნიერო ნაწილი:— სითბოზე.—ორიოდე სიტყვა ალექსანდროვის სემინარიაზე. —ლექსები:— ელეგია.—ბავშვის ჩივილი. — სხვა და სხვა ამბები.

განცხადება.

„სასოფლო გაზეთის“ გამოცემაზე

1870 წელში.

მომავალს 1870 წელს „სასოფლო გაზეთი“ გამოიცემა იმავე პროგრამმით, როგორთაც ამ წელს გამოიცემოდა. ამას გარდა სასოფლო გაზეთში იქნება დაბეჭდილი სურათები საოჯახო ცხოველ-მცენარეებისა.

ხელმოსაწერი ფასი:

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში ერთი წლისა ოთხი მანეთი; გაუგზავნელათ სამი მანეთი

სასოფლო სასამართლოებისათვის ტფილისის გუბერნიაში გაგზავნით სამი მანეთი, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში ოთხი მანეთი. ნახევარი წლისა გაგზავნით ორი მანეთი; გაუგზავნელათ ერთი მანეთი და ათი შაური, ერთი ნომერი ორი შაური.

„სასოფლო გაზეთი“ გამოიცემა ორ კვირაში ერთხელ შაფათობით.

ხელი მოიწერება.

ტფილისში „დროებისა“ და “სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ მოითხოვონ ამ ადრესით;

Въ Тифлисъ. Въ Контору Редакціи „Сельск. Газеты“ при Типографіи Меликова. и К.

რედაქტორი და გამომცემელი ბ. წერეთელი.

СЕЛЬСКИМЪ ОБЩЕСТВАМЪ.

Наше теперишнее хозяйство и способъ обработки полей не удовлетворяетъ потребностямъ нашей жизни. Населеніе начинаетъ постепенно увеличиваться, земель становится все меньше и меньше,—на томъ пространствѣ, гдѣ прежде умѣщался одинъ крестьянинъ, теперь принуждены жить двое и трое; поэтому на каждаго селянина приходится теперь гораздо меньше земли, противъ прежняго; способъ же обработки полей ни чуть не измѣнился. Какъ прежде, такъ и теперь нашъ крестьянинъ сътрудомъ справляется со своимъ тяжолымъ плугомъ, который тащится семью парами быковъ, и въ нѣсколько дней не вспашетъ даже того, что можно былобы вспахать въ одинъ день болѣе усовершенствованнымъ плугомъ о двухъ лошадяхъ. Такимъ образомъ селянинъ, употребляя въ дѣло не пригодныя сельско-хозяйственныя орудія, теряетъ даромъ много времени и много труда; прибавимъ къ этомуъ и то, что на маломъ пространствѣ земли вообще собирается и мало урожая; незабудемъ также,

что укаждаго селянина день-ото-дня начинаетъ появляться больше потребностей и больше нуждъ,—въ виду всего этого экономическое положеніе нашего селянина дѣйствительно не представляетъ ничего хорошаго. Съ уменьшеніемъ земель и съ увеличеніемъ потребностей даже теперь довольно затруднительно жить; а въ ближайшемъ будущемъ и совсѣмъ нельзя будетъ жить при такихъ обстоятельствахъ. Единственный исходъ изъ этого положенія—выучиться лучшему хозяйству. Необходимо измѣнить весь нашъ хозяйственный бытъ къ лучшему. А какъ измѣнить, что предпринять?—вотъ вопросы, которые особенно насъ должны интересовать въ настоящее время, и обсужденіемъ которыхъ мы займемся.

Если бы намъ пришлось видѣть европейское населеніе, то насъ бы особенно поразила тѣснота пространства, на которомъ оно помѣщается. Тамъ такое большое скопленіе жителей, что села за селами тянутся непрерывно;—на долю каждаго селянина приходится меньше, чѣмъ пятая часть земель, занимаемыхъ нашимъ крестьяниномъ, но и на этомъ маломъ пространствѣ—лучше сказать—клочкѣ земли, тамошній житель находитъ себя богатымъ. Часто бываетъ такъ, что у европейскаго поселянина всего на все одинъ маленькій огородъ, который въ длину и ширину тянется только на нѣсколько саженей, а посмотрѣть унего въ семействѣ, просто любо: всѣ хорошо одѣты, хорошо кормятся; въ домѣ унего чисто, опрятно и съ такими удобствами, какихъ намъ воснѣ не видать. Отецъ семейства находитъ даже средства на свой счетъ воспитывать дѣтей; вмѣстѣ съ этимъ онъ отбываетъ такъ много общественныхъ и государственныхъ повинностей, что нашимъ селянамъ никогда не отбывать половины того.—

Отчего это происходитъ, спроситъ читатель? Оттого что тамъ уселянина есть отличное сельско-хозяйственное знаніе и привычка не терять даромъ времени; посредствомъ этихъ двухъ неоцѣнимыхъ качествъ онъ изъ своего маленькаго клочка земли добываетъ столько разнаго рода продуктовъ, сколько нужно для его удобной жизни.

Наше хозяйственное положеніе вступаетъ въ такой періодъ, когда земля дѣлается не достаточною, чтобы она при нашемъ способѣ обработыванія могла давать достаточное количество естественныхъ произведеній.—

При такихъ обстоятельствахъ чтобы жить сообразно своему настоящему положенію, необходимо сельскому хозяину научиться выручать на пространствѣ земли, занимаемомъ нашимъ крестьяниномъ, гораздо больше того, сколько выручается въ настоящее время. А это требуетъ знанія. Слѣдсвательно приходится учить нашихъ дѣтей. Если теперъ же не постараться приготовить ихъ къ такому хозяйству, съ которымъ человѣкъ на малой землѣ добываетъ возможно большое количество продуктовъ, то они постоянно будутъ чувствовать себя въ самой крайней нуждѣ.

Попечительное Правительство предусмотрѣло это и для обученія нашихъ дѣтей устроило сельско-хозяйственный хуторъ въ Лочино. Въ предыдущемъ номерѣ „Сельской Газеты“ довольно подробно было говорено объ этой фермѣ, но не мѣшаетъ и теперь сдѣлать краткій обзоръ ея.

Какъ извѣстно, въ семнадцати верстахъ отъ Тифлиса—въ Лочино—существуетъ сельско-хозяйственный практическій хуторъ, который составляетъ частную собственность и находится въ арендномъ содержаніи у нѣмца Фивега. Кавказское Общество Селскаго Хозяйства выбрало этотъ хуторъ дла производства опытовъ ввести въ краѣ новые способы хозяйства и примѣнять улучшенныя земледѣльческія орудія; а также практически обучать молодыхъ людей изъ туземцевъ. Съ 1864 года Общество обязалось отпускать ежегодно, въ теченіе десяти лѣтъ г. Фивегу извѣстную сумму денегъ; а этотъ послѣдній съ своей стороны обязался въ теченіе вышепоименованнаго срока отпускать въ распоряженіе общества для безденежной раздачи или продажи извѣстное количество молодыхъ фруктовыхъ деревьевъ, виноградныхъ лозъ и другихъ воздѣлываемыхъ растеній; онъ же обязался содержать и обучать практически сельскому хозяйству молодыхъ людей, поступающихъ на хуторъ. Въ настоящее время всѣхъ учениковъ хутора 35. Срокъ обученія ихъ полагается четырехъ—лѣтній. Въ сентябрѣ нынѣшняго года произведено было испытаніе этихъ учениковъ и оказалось слѣдующее: всѣ ученики достаточно пріучены практическимъ сельско-хозяйственнымъ пріемамъ; они удовлетворительно могутъ исполнять работы по полеводству, садоводству, лѣсоводству, уходу за домашнимъ скотомъ, шелководству и винодѣлію; хорошо объясняютъ на словахъ то, что они дѣлаютъ и при этомъ всѣ довольно хорошо умѣютъ читать и писать порусски, знаютъ даже четыре правила ариѳметики.

И такъ заботливое Правительство, снисходя къ нашимъ нуждамъ, устроило такое сельско-хозяйственное заведеніе, которое имѣетъ цѣлью обеспечить благосостояніе нашему населенію. Намъ остается только воспользоваться имъ. Поэтому сельскимъ старшинамъ и судьямъ вмѣняется въ обязанность убѣдить поселянъ извлечь для себя практическую пользу изъ Лочинскаго Хутора. Пусть они въ раіонѣ своего управленія выберутъ изъ среды поселянъ по два или по три мальчика отъ каждаго сельскаго общества и отправятъ ихъ въ вышеименованный хуторъ. Такимъ образомъ сельское населеніе черезъ нѣсколько лѣтъ пріобрѣтетъ практически хорошо подготовленныхъ людей для примѣненія къ жизни усвоенныхъ сельско-хозяйственныхъ знаній и употребленія улучшенныхъ земледѣльческихъ орудій.

На Лочинскій хуторъ мы должны смотрѣть, какъ на первый опытъ устройства такого сельско-хозяйственнаго заведенія, гдѣ наши дѣти должны пріобрѣтать практическія познанія, соединенныя съ общимъ образованіемъ. Но чтобы такого рода заведеніе имѣло болѣе сильное вліяніе на коренное измѣненіе всего нашего хозяйственнаго быта къ лучшему, нужно намъ подумать объ основаніи болѣе серіозной земледѣльческой школы, которая потребуетъ большихъ издержекъ и безъ содѣйствія нашего населенія одному Правительству будетъ не посредствамъ содержаніе ея. Подъ его же по-

ეროვნული ბიბლიოთეკა

печеніемъ находится много другихъ заведеній, приносящихъ краю громадную пользу и стоющихъ ему очень дорого. А такъ какъ болѣе обеспеченное существованіе наше въ будущемъ требуетъ непремѣннаго устройства вышепоименованной земледѣльческой школы, то необходимо намъ самимъ принять участіе въ издержкахъ, которыя сопряжены съ ея основаніемъ. При этомъ разумѣется нужно сдѣлать такъ, чтобы ежегодная плата состороны сельскихъ жителей не была для нихъ стеснительна. Но объ этомъ мы будемъ подробно говарить въ слѣдующемъ номерѣ „Сельской Газеты"; тамъ же постараемся показать, какую именно земледѣльческую школу слѣдовалобъ намъ имѣть.

სასოფლო საზოგადოებათა.

ჩვენი ოჯახობა და მიწის მუშაობა არ შეეფერება ახლანდელს ჩვენს ცხოვრებას. ხალხი მრავლდება, მიწა ცოტავდება, უწინ რომ ერთ მოსახლეს ჰქონდა, იმდენ მიწაზე ახლა სამი მოსახლე ცხოვრობს; თითო მოსახლეს უწინდელი გლეხის მესამედი ადგილ-მამული თუ ექნება, მეტი არა; მიწის მუშაობა კი როგორიც უწინ ყოფილა, ახლაც იმ ნაირია. ჩვენი სოფლელი მეოჯახე უწინაც შვიდ უღელ ხარ-კამბეჩს გაიბამდა თავის მძიმე გუთანში და ახლაც; როგორ ბარ-ნიჩაბსაც აქამდის ხმარობდა, ახლაც იმისთანას ხმარობს; რაც ძველათ იცოდა, იმაზე უკეთესი მუშაობა არც ახლა იცის. ცხადია, რომ ამისთანა მდგომარეობაში უფრო ცოტა ადგილ-მამულზე, უფრო ცოტა ნამუშევარიც მოუვა. ადგილ-მამული დაცოტავდა, მუშაობას კი არა მომატებია რა, ამისთვის მოსავალიც ბევრათ ნაკლები მოსდით. უწინდელი დროც რომ ავილოთ, იმ შემთხვევაშიაც სარჩო გლეხს აღარ უნდა ჰყოფნიდეს და ამას გარდა ახლა ცხოვრებაც წინანდელზე უფრო ბევრს ითხოვს; რაც უწინ სჭირდებოდა, ახლა ორიიმდენი სჭირდება. აბა ამისთანა მდგომარეობაში რა უნდა იფიქროს ჩვენმა სოფლის მეოჯახემ, რომ როცა სჭირდება, ის საკმაოთ მოიპოვოს?

* * *

— უნდა იფიქროს უკეთესი სახლოსნობის სწავლა, უკეთესი მუშაობა უნდა დაიწყოს. განათლებულს ქვეყნებს რომ თვალი გადავავლოთ, იქ ასეთს სიმრავლეს ვნახავთ ხალხისასა, რომ თითქმის სოფელი სოფელზეა მობმული. ადგილები ისე ცოტა არის იქა, რომ რაც ეხლა ჩვენს ერთ გლეხსა აქვს, იმდენი მიწა-წყალი იქ ხუთ გლეხს არ ექნება; მაგრამ ყოველი იქაური ამ ერთი მუჭა მიწაწყლითაც მდიდარია. დღიურს ადგილზე—იქ იმდენი ნამუშევარი მოდის, რამდენიც ხუთ დღიურზე არ მოვა ჩვენში. რათ არის ეს ესე?—იმიტომ არის, რომ იქ ბევრათ უკეთესი მუშაობა იციან, ვინამც ჩვენში; სამუშაოთ უკეთესს იარაღსაც ხმარობენ. იქაური გუთანი დღეში ერთი ან ორი უღლითა იმდენს დახნავს, რამდენსაც ჩვენი შვიდუღლიანი გუთანი ხუთს დღეში. მაგრამ ყველაზე უფრო აჯილდოებს იქაურს სოფლელს კაი მუშაობის ცოდნა. იმათი სიმდიდრის მიზეზი იმათი სწავლაა.

ადგილ-მამულის დაძვირებით ჩვენი მდგომარეობა თან და თან უარდება. ერთი ღონის ძიების მეტი ვერა გამოგვიყვანს რა ამ გაჭირებულ მდგომარეობისაგან. ჩვენ უნდა დავიწყოთ ისეთი მუშაობა, რომ მუჭისოდნა ადგილზე ჩვენი სამყოფი ნამუშევარი მოვიყვანოთ. ამას უნდა სწავლა. რაც ვიცით იმითი იქნება როგორმე კიდე გავაჯახიროთ ჩვენ ჩვენი ცხოვრება, მაგრამ ჩვენს შვილებს რაღა უყოთ?.. თუ იმათ უკეთესი ცოდნა არ ექნათ, თავს ველარ გაიტანენ.

* * *

მთავრობამ იცოდა ეს ჩვენი მოთხოვნილება და ამის გამო დააწესა უკეთესი ოჯახობისა და მიწის მუშაობის სასწავლებელათ სამეურნეო ხუტორი. ამ ხუტორზე „სასოფლო გაზეთის წინა ნომერში დაწვრილებით ვილაპარაკეთ, მაგრამ ახლაც არა უშავს რა ორიოდე სიტყვა კიდევ ვთქვათ ამ ხუტორზე.

* * *

როგორც ვიცით შვიდმეტ ვერსზე თბილისიდან—სოფ. ლოჭინში არის მეურნეობის საპრაქტიკო ხუტორი, რომელიც ეკუთვნის კერძო პირს და იჯარით აღებული აქვს ნემეცს შიევგსა. „კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ“ გამოირჩია ეს ხუტორი ახალი სასარგებლო მცენარეებისა და პირუტყვის მოსაშენებლათ, სამეურნეო იარაღების ხმარების საჩვენებლათ და აგრეთვე იმისთვის რომ აქ ისწავლონ რიგიანათ მეურნეობა ჩვენებურმა ახალგაზდებმა. 1864 წლიდან სამეურნეო საზოგადოება აძლევს ყოველ წლიწადს ხუტორის იჯარით ამღებს—შიევგს დანიშნულს ფულსა და ამის ნაცვლათ შიევგი ვალდებულია, თავის მხრით, აძლიოს საზოგადოებას გასასყიდლათ, ან უფასოთ დასარიგებლათ რამდენიმე ათასი ხეხილი, ვაზი და სხვა სასარგებლო ხეები, რომლებსაც ის აშენებს ამ ხუტორში; ამას გარდა შიევგმა უნდა ასწავლოს მეურნეობა და გამოზარდოს თავის ხარჯით ახალგაზრდა ყმაწვილი კაცები, რომლებიც ხუტორში შესვლას და სწავლას მოისურვებენ. ლოჭინის ხუტორის შაგირდები ოთხი წლის განმავალობაში ასრულებენ სწავლასა; აქ ამ ჟამათ ოცდა თხუთმეტი შაგირდია.

ამ პირობისა დაგვარათ წარსულს სეკტემბერში სამეურნეო საზოგადოების რჩევამ გამოსცადა ხუტორის შაგირდები და აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა შაგირდებს რიგიანათ შეუძლიათ ასრულება ყანის და ბაღის მუშაობისა; ამას გარდა იმათ იციან პირუტყვების მოვლა და, აბრეშუმისა და ღვინის მოყვანა. შაგირდების უმეტესმა ნაწილმა იცის აგრეთვე რუსული წერა-კითხვა და ცოტა ანგარიშიც.—

* * *

ამ სახით მთავრობამ მიაქცია ყურადღება ჩვენს საჭიროებას და გამართა მეურნეობის სასწავლებელი ბაღი; ახლა ჩვენი ვალია ვისარგებლოთ ამ ბაღითა. სოფლის მამასახლისებმა და მოსამართლეებმა უნდა ურჩიონ სოფლელებს, რომ თითო საზოგადოებიდგან ორ-ორი ან სამ-სამი ყმაწვილი ამოარჩიონ და გაგზავნონ ლოჭინის ხუტორში, ან უკეთ ვთქვათ ბაღში. იქ ყმაწვილებს კიდეც ასწავლიან და კიდეც არჩენენ. ამით რამდენიმე წლის შემდეგ გამრავლდება ჩვენ სოფლებში ნასწავლი კაცები, რომელნიც დაიწყებენ უკეთეს მუშაობას და წინ წაიყვანენ სოფლურ ოჯახობას; იმით ეცოდინებათ ახალი იარაღების ხმარებაცა.

ლოჭინის ხუტორი ანუ ბაღი პირველი მაგალითია, საცა ჩვენმა სოფლელმა ახალგაზდობამ საქმით უნდა ისწავლოს უკეთესი მუშაობა და ხელობა, ამასთან მიიღოს ცოტაოდენი განათლებაცა; მაგრამ ჩვენი სახლოსნობის ძირიანათ გაუმჯობესობისათვის მარტო ეს არ არის საკმაო; ჩვენ უნდა ვიფიქროთ უკეთესი შკოლის გამართვისათვის. და რადგან ამისთანა შკოლის ქონვა მოითხოვს ბევრს ხარჯს და მარტო მთავრობის ღონისძიება არ

იკმარებს, ამისთვის ჩვენი სოფლის ხალხმაც უნდა გამოიდეას თავი; წარმოვიდგინოთ ჩვენი გაჭირება მომავალს დროისთვის, როცა მიწაც ძალიან დაძვირდება და ჩვენი ახლანდელი მიწის მუშაობაც აღარას გამოგვადგება, და მაშინ უფრო მივხედებით, რომ კარგი სახლოსნობის სასწავლებელი შკოლა ისე საჭიროა ჩვენი შვილებისთვის, როგორც ჩვენთვის წყალი და პური; მაშ ამის გამართვისათვის სოფლელმა ხალხმაც უნდა შესწიროს ხოლმე ყოველ წლობით იმდენი ფული, რამდენიც შეუძლია. შემდეგ ნომერში ჩვენ დაწვრილებით მოვილაპარაკებთ, როგორ უნდა წაიყვანონ საქმე სოფლელებმა, რომ შკოლის ხარჯით იმათ არა გაუჭირდესთ რა; აქვე ვილაპარაკებთ, რა ნაირი სამეურნეო შკოლაც უნდა გაიმართოს ჩვენში.

შინაგანი ცნობები.

ქართულ გაზეთში „დროებაში“ სწერენ, რომ ჩვენ შევიტყეთო, ვითომ იმ ქახეთის მემამულეებს, რომელთაც შეადგინეს კომპანია და საერთოთ გახსნეს თბილისში ღვინის სარდაფები, შეუერთებიათ აგრეთვე თავიანთი საქონელი და ერთათ აპირობენო პირუტყვის მოშენებას და იმით ვაჭრობის დაწყებას.

თუ ეს ამბავი მართალია, ქახეთის მემამულეები ამ საქმეშიაც ისე მოიგებენ, როგორც ღვინის ვაჭრობაში, რადგანაც ცხადია, რომ რამდენიმე კაცის შეერთება და ერთათ საქმის დაჭერა ყოველთვის სასარგებლოა. — თუ მებატონეები, რომელნიც რაც უნდა იყოს უფრო შეძლებულნი არიან, სცდილობენ თავის მდგომარეობის გაუმჯობესობას და ცხოვრების სახსრების მოპოებას, ჩვენი გლეხები უფრო არ უნდა სცდილობდნენ ამასა? — ამ-ს წინეთაც ვამბობდით ჩვენ გაზეთში, რომ გლეხები ძალიან კარგს იზმენ, თუ შეერთდებიან და ისე დაიწყებენ ვაჭრობას მეთქი. მაშ მივაქცევთ ახლა კიდევ ამ მებატონეების საქმეზე ჩვენი გლეხების ყურადღებასა და ვინატრებთ, რომ იმათ შორისაც გამოჩნდენ იმისთანა მოთავე პირები, რომელთაც, მებატონეების მიხედვით, მოეკიდოსთ შეერთებული ღონისძიებით ხელი რომელიმე სასარგებლო საქმისათვინ.

ჩვენს ქვეყანაში განა ცოტა რამ მოდის გასასყიდი? ერთს სოფელში კარგათ მოდის ხოლმე პური, მეორეში ღვინო, მესამეში ბამბა, სხვაგან პირუტყვის ჯოგი ჰყავთ, ზოგან ენდრო მოდის და სხვ. ძმური თანხმობა და ერთმანეთის დაყოლა რომ იყოს, განა არ შეუძლიათ ერთი სოფლის მცხოვრებლებს შეერთდენ და ერთათ მოიყვანონ ყოველი მოსავალი, ერთათ გაჰყიდონ და მერე თანასწორათ გაიყონ? თუ ეცდება კაცი ეს ადვილათ შესაძლებელია და თუ რიგიანათ მოიფიქრებს, მიხვდება, რომ ამ ნაირათ საქმის დაჭერა ყველასთვის სასარგებლოთ დარჩება.—

მისი იმპერატორებითის უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე წაბძანდა ექვს ამთვეს შუადღისას თბილისიდამ ბორჯომს.—

ერთს რუსის გაზეთში სწერენ, რომ მოსკოვში სამი ათასი სომეხი, ქართველი და სხვა ტომების აქაური ხალხი ცხოვრობსო. უმეტესი ნაწილი ამათი არიან ვაჭრები და ვაჭრობენ აბრეშუმით, ბამბით, ენდროთი, და სხვა აღმოსავლეთური საქონლებით.—

სამეურნეო ცნობანი.

რუსეთიდგან.

ერთს კაზანის გაზეთში სწერენ, რომ აქ ერთმა კაცმა მოიგონაო ხელით სახმარებელი მომკელი მაშინაო. ამ მაშინის შემწეობით ერთი კაცი დღეში მომკისო ორ დღიურსა. თურმე ბევრი არა უნდა რა ამ მაშინის გაკეთებას და ძვირიც არ არისო; მაგრამ ჯერ კიდევ კარგა არ გამოუცდიათ საქმეში.

ვაროონეჟიდგან იწერებიან, წარსულს წელს გუბერნიის თავი და თავი კაცები შეიკრიბენ ერთად და დააწესეს იმისთანა რიგი, რომ თუ ვინიცობაა ჭირი ან სხვა რამე საქონლის სატკივრები გაჩნდა სოფლებში, მცხოვრებლები გამოიხსნან ზარალისაგან. აი ეს რიგი:

ვისაც უნდა, რომ ზარალი არ მიეცეს პირუტყვის გაწყვეტით სატკივრების ან ჭირის დროს, იმან წლობით უნდა გადაიხადოს სარგებელსავით ცოტაოდე ფასი იმის და გვარათ, რა პირუტყვს უფრო ძნელათ ეკიდება სატკივარი, დიდსა თუ პატარას.

*
* *

თუ ვისმე უნდა თავის პირუტყვებში სრული ფასი მიიღოს ჭირით გაწყვეტის შემდეგ, იმან უნდა იხადოს წლობით დანიშნული ფული, მაგრამ ბებერი პირუტყვისთვის კი არას ახდევინებენ და არც იკისრებენ იმის გადახდას, ამიტომ რომ შეიძლება ის თავისით მოკვდეს და არა ჭირითა.

*
* *

ვისაც პირუტყვი ჰყავს, იმან უარის უთქმელათ ყოველ წლივ უნდა აძლიოს საზოგადოებას დანიშნული ფული, რომ ჭირის შემდეგ გადაუხადონ ამას ყველა პირუტყვი, რაც სატკივრისაგან გასწყვეტია; მაგრამ ვინც კარგა არ უვლის საქონელსა, იმას სრულ პირუტყვის ფასს არ გადაუხდიან; მოვლის და გვარათ ან მისცემენ ნახევარს ფასს, ან კიდევ ნაკლებსა.

მიწის გასუქება ძვლითა და სხვა სასუქითა.

ხარკოვის უეზდიდგან აი რას იწერება ერთი მეოჯახე: რადგან ჩვენში მიწები ძალიან უნაყოფონი მეიქნენ და რადგან ვიცოდი, რომ მიწის გასუქება ძალიან ფრთებს უსხამდა მოსავალს, ამ ორი წლის წინათ დავიწყე გასუქება მიწისა და რა გამოჩნდა.

ორმოცი დღიური მიწა გავასუქე და შიგ დავთესე დიკა გაზაფხულის თესლი, ქერი და შვრია: დიკისათვის მიწა ერთხელ ძალიან ღრმათ დავხანიო და ხნული მეორეთ კიდევ ვაბრუნეო; გაზაფხულის თესლისთვის, ქერისა და შვრიისთვისაც იმ გვარათ მოვიქეცეო და მერე ძვლის სასუქით მოვამზადეო.

*
* *

დიკისათვის

საშინჯავათ ოთხი დღიური მიწა გადავდევ, და ორათ გავჰყავი. ორდღიურზე სასუქი დავაყარე და ორი ისე დავაგდე. მერე დავყავ თითო დღიურათ. მიწა ყველა ერთ გვარი ამოვარჩიე. ოთხივე დღიური გუთნით დავხანი და მერე კიდევ ავჩეჩე; ყველა ხნულები თანასწორი სიღრმისა არ არის. ორი დღიურისა პირველი და მეორე ერთ გვარათ იყო დამუშავებული ორივე უსასუქოთ; მესამე და მეოთხე კარგა დავიმუშავე პატივით. ეს მიწები საუკეთესო ევროპის გუთნებით იყო დახნული და ხელმეორეთ კიდევ ოქოქათი იყო აჩეჩილი.

ახლა მოგახსენებთ, რაც დამეხარჯა ამ ოთხი დღიურის დამუშავებაზე და ან შიგ რაც მოვიდა.

პირველი ნაჭერი მიწა ერთი დღიურისა ჩვეულებრივ სილრმეზე იყო დახნული და მეორე ოქოქათი აჩეჩილი; გავასუქე და შიგ დიკა დავთესე თექვსმეტ მარიამობის თვეს.

დახარჯულია:

ბუთნით დახვნაში — — — ერთი მანეთი.

ბადახვნაში — — — ცხრამეტი კაპეიკი.

დათესვა და ფარცხვაში — ცხრა შაური.

ოთხი სარწყაო თესლი ღირდა — თერთმეტ აბაზათ.

ბაზაფხულზე ამ პირველი ნაჭრის დატკეპნა — რვა კაპეიკათ.

მომკა და ძირებათ დადგმა ღირდა ერთი მანეთი.

ბადატანა — — — — — ექვსი შაური.

მაშინით გალეწვაში და განიავებაში — შვიდმეტი შაური და სამი კაპეიკი.

მიწის ქირა — — — ორმანეთ ნახევარი.

საერო და კერძოობითი გადასახადი — ექვსი კაპეიკი.

სულ ამ ორს გაუსუქებელ დღიურზე დაიხარჯა ცხრა მანეთი, შვიდი შაური და ორი კაპეიკი.

***

შემოსულია:

ნამუშევარი ორ გასუქებულ დღიურზე — ოცდა თვრამეტი საწყაო და ნახევარი.

ყველაში გამოვიდა ოცდა ცხრამეტი ფუთი და ოცდა თექვსმეტი გირვანქა.

ფუთი დიკა გაიყიდა ცამეტ შაურათ.

მაშ მთელმა ნამუშევარმა შემოიტანა ოცდა ექვსი მანეთი, შვიდ კაპეიკ ნაკლებ.

დიკის ჩალა გაიყიდა ორ მანეთად შვიდმეტ შაურათ და სამ კაპეიკათ.

ბზე — — შვიდ შაურათ და სამ კაპეიკათ.

სულ მთელი შემოსავალი შეადგა ოცდა ცხრა მანეთი და ერთი აბაზი.

წმინდა მოგება ერთ დღიურზე დარჩა ცხრამეტი მანეთი, ოთხი აბაზი და ორი კაპეიკი.

***

მეორე ნაჭერი მიწა ისიც ერთი დღიური დამუშავდა ისე, როგორც პირველი ნაჭერი.

ხარჯი:

დახვნა — — — — — ერთი მანეთი.

ბავით მეორეთ დახვნა — — სამი აბაზი.

ოქოქათი მესამეთ აჩეჩა — — ერთი აბაზი.

დათესვა და დაფარცხვა — ცხრა შაური.

ოთხი საწყაო თესლი — ორ მანეთად და ოთხ აბაზ უზალთუნათ.

ბაზაფხულზე ნამორით დატკეპნა — რვა კაპეიკი.

მომკა და ძირათ დადგმა — ერთ მანეთად და ხუთ შაურათ.

ბადატანა — — ორ აბაზათ და ორ კაპ.

ბალეწვა და განიავება — ერთი მან. და თექვსმეტი კაპეიკი.

მიწის ქირა — — — ორ მანეთ ნახევარი.

სახელმწიფო და საზოგადო ხარჯი — ექვსი კაპეიკი.

სულ ერთ დღიურ მიწის მოსავალში დაიხარჯა თუმანი, სამი აბაზი და ორი კაპეიკი.

შემოსავალი:

მოვიდა ორმოცდა ერთი საწყაო და ყველა გაისყიდა ოცდა ათ მანეთად, თვრამეტ კაპ.

ჩალა — ოთხმოცდა შვიდმეტი ფუთი და ოცდა ათი გირვანქა გაიყიდა ოთხ მანეთად ცხრა კაპეიკ ნაკლე.

ბზე შესდგა ცხრა ფუთი და თოთხმეტი გირვანქა, გაიყიდა ცხრა შაურათ და ერთ კაპ.

სულ შესდგა ოცდა თორმეტი მანეთი და თერთმეტი შაური.

მოგება დარჩა ოცდა ოთხი მანეთი შვიდ კაპეიკ ნაკლე.

მესამე ნაჭერი მიწა ისიც ორი დღიურისა გავასუქე ოთხმოცდა ხუთი ურმის სასუქითა დაეხანი ჩვენებური გუთნითა.

დახარჯულია:

სასუქი დამიჯდა სამ მანეთად, ცხრა შაურათ და სამ კაპეიკათ, გამოტანა და ყანაში დაყრა სასუქისა ოთხ აბაზ უზალთუნათ; მთელ ყანაში კარგათ არეე დარეეა ერთმანეთად და შვიდმეტ კაპ.

დახვნა ერთ — — — მანეთად.

ოქოქათი აჩეჩა — — ოცდა ორ კაპეიკათ.

დათესვა — — — — — — — შაურათ.

ოთხი საწყაო ხორბალი — სამ მანეთად ორ შაურ ნაკლე.

დაფარცხვა — — — — — ორ აბაზათ.

დატკეპნა — — — — — რვა კაპეიკათ.

***

მომკა და ძირათ დადგმა დაჯდა მანეთად და ოცდა თორმეტ კაპეიკათ.

ბადატანა გასალეწათ — — ცხრა შაური.

ბალეწვა და განიავება — მანეთად და ექვს შაურათ.

მიწის ფასი — — — ორ მანეთ ნახევრად.

სახელმწიფო და საერო ხარჯი — ექვს კაპ.

სულ თექვსმეტ მანეთად, ოთხ აბაზად და სამ კაპეიკათ.

მაგრამ რადგან პატრონი იმდენი დავაყარე მიწის, რომ სამ წლამდის ეყოფა, ამისთვის ექვსი მანეთი რომ გასუქებაში ეიანგარიშე, ის სამ ნაწილათ უნდა გავყო და ერთი წლისა იქნება ორი მანეთი და ცხრამეტი კაპეიკი ამისთვის ზემოხსენებულ საზოგადო ხარჯიდგან ექვსი მანეთი უნდა გამოვრიცხოთ და მიუმატოთ მხოლოდ ორი მანეთი და ცხრამეტი კაპეიკი, მაშინ ნამდვილი ხარჯი ორი დღიური გასუქებული მიწისა შეადგენს თორმეტს მანეთსა და ცხრა შაურს.

***

ახლა ვიანგარიშოთ შემოსავალი ამ მესამე ნაჭერი გასუქებული მიწისა:

ხორბალი მოვიდა ორმცდა რვა საწყაოზე მეტი.

გაისყიდა ოცდა თხუთმეტ მანეთად ექვს კაპეიკ ნაკლე.

ჩალა — — — გაიყიდა სამ მანეთად და სამოცდა ორ კაპეიკათ.

ბზე — — — — — — — ათ შაურათ.

სულ შემოსავალი შესდგა ოცდა ცხრამეტი მანეთი და ცხრა კაპეიკი; მოგება დარჩა ოცდა ექვსი მანეთი და ცამეტი შაური.

***

მეოთხე ნაჭერი გასუქებული მიწა ღრმად იყო მოხნული და მერე საჩეჩი გაეკეთა.

დანახარჯი:

გასუქება მიწისა, როგორც წინათ ორი მანეთი და ცხრამეტი კაპეიკი.

ბუთანით დახვნა — — — ერთ მანეთად.

საჩეჩით მეორეთ დახვნა — — სამი აბაზი.

მესამეთ კიდევ გადახვნა — ოცდა ორ კაპ.

ოთხი საწყაო ხორბლის თესლი სამ მანეთად უზალთუნ ნაკლე.

დატკეპნა — — — — — რვა კაპეიკათ.

მომკა — — ერთ მანეთად ცხრა შაურათ და სამ კაპეიკათ.

ბალეწვა და განიავება — ერთ მანეთად და ცხრა შაურათ.

მიწის ფასი — — ორ მანეთ ნახევრად.

სახელმწიფო და საერო ხარჯი ექვს კაპ.

სულ დაიხარჯა ცამეტი მანეთი და ცხრა შაური კაპეიკ ნაკლე.

შემოსავალი:

ხორბალი — ოცდა ცხრამეტი მანეთისა კაპეიკ ნაკლე.

ჩალა — ოთხი მანეთიხა და ექვსი კაპეიკისა.

ბზე — სამი აბაზისა და ორი კაპეიკისა.

სულ შემოსავალი შესდგა ორმოცდა სამი მანეთი და თოთხმეტი შაური სამ კაპ. ნაკლე.

მოგება დარჩა ოცდა ათი მანეთი და ხუთი შაური ორ კაპეიკ ნაკლე.

* * *

ახლა შევადაროთ გასუქებული მიწებისა და გაუსუქებელის შემოსავალი, როგორი განსხვავება ენახოთ:

პირველი ნაჭერი გასუქებული მიწის ხარჯი იყო — ცხრა მანეთი და შვიდ შაურზე ცოტათ მეტი.

შემოსავალი დადგა ოცდა ცხრა მანეთი და ცხრამეტი კაპეიკი.

მოგება დარჩა ცხრამეტი მანეთი ოთხ აბაზი და ორი კაპეიკი.

მეორე ნაჭერმა მიწამ მოსცა ოცდა სამი მანეთი მოგება, ოთხი მანეთი მეტი, ვინამც პირველმა მიწამ, იმისთვის. **რომ** ეს სამჯერ იყო დახნული და მერე დაფარცხული.

მესამ ნაჭერმა გასუქებულმა მიწამ მოსცა მოგება ოცდა ექვსი მანეთი და ცამეტი შაური.

მეოთხე ნაჭერმა გასუქებულმა მიწამ მოიტანა ოცდა ათი მანეთი და ხუთი შაური, იმიტომ **რომ** ეს სამჯერ იყო დახნული გუთნით საჩეჩით და კავით.

* * *

აქედგან სჩანს **რომ** მიწის გასუქება ბევრს ხარჯს არ მოითხოვს. **ამ** მაგალითმა გვიჩვენა, **რომ** ორ დღიურზე ორი მანეთი იხარჯება გასუქებაში მეტი არა და მოსავალი კი კარგათ იცის: მაგრამ კარგათ დამუშავებას ან სამჯერ დახვნით და დაფარცხვით კიდევ უფრო ემატება მიწის მოსავალსა.

ჩვენ მოვიყვანეთ მაგალითი **რუსეთის** მიწისა, **რომელიც** ბევრათ უფრო მწირია, მქისია ჩვენ მიწაზე, **მაშ** ჩვენი მიწა, კარგათ **რომ** შემუშავდეს და გასუქდეს ძალიან ბევრს მოიყვანს.

სამეცნიერო ნაწილი.

სითბო.

ვის არ გამოუცდია ზამთარში სიცივე და სუსხი! **სიცივისაგან** გაშეშებული საწყალი გლეხი კაცი შეეარდება ხოლმე თავის ქოხში და ხან ზურგს მიუშვერს კერასა და ხან ხელებს, **რომ** გათბეს. **რატომ** ათბობს კაცს და სხვას ყველაფერსაც ცეცხლი? **ამიტომ** **რომ** ცეცხლის სითბო გადადის ხოლმე კაცზე, ან სხვა რამე ნივთზე.

აიღეთ მაგალითათ ხელში ქვა. **თქვენ** ხედავთ, **რომ** ის ცივია, არ ათბობს ხელებს; ახლა ჩააგდეთ ეს ქვა ცეცხლში, გააჩერეთ იქ რამდენსამე ხანს **და** მერე გამოიღეთ და დაიკავეთ ხელში. **თქვენი** ხელები იმწამსვე იგრძნობენ, **რომ** ის გახურებულა ცეცხლში. **ახლა** ჩააგდეთ ეს გახურებული ქვა ცივ წყალში. **რასაკვირველია**, ქვას დაეკარგება სითბო და წყალი კი გათბება. **აბა**, თქვით **რატომ** მოხდა ეს? **ამიტომ** **რომ** ქვამ თავის სითბო წყალს გარდასცა და გაათბო.—

ასე ამ რიგათ სითბო ერთი ნივთიდან მეორეზე გადადის ხოლმე და ათბობს იმას.

X X

ახლა ვნახოთ—**რარიგათ** **ჩნდება** ხოლმე სითბო? **ჩამოიხსენით** ქამრიდან კვესი, ამოიღეთ ჯიბიდან (ტალი) კაჟი და აბედი და დააკვესეთ. **თქვენ** ჰხედავთ, **რომ** ნაპერწკლები სცვივიან კვესს და თუ კარგი კვეს-აბედი გაქვთ, ორი ან სამი დაკვრის შემდეგ, აბედს ცეცხლი გაუჩნდება. **როგორ** მოხდა ეს, თუ მიხვდებით? **ვერ** მიხვდებით! **მაშ** ყური მიგდეთ. **როცა** კვესი დაჰკარით ტალსა, იმდროს კვესს მოსცილდა პატარა-პატარა ნამტვრევები და ამ დაკვრისაგან გაჩნდა ისეთი სითბო, **რომ** კვესის ნამტვრევები გახურდენ; ერთი ამ ნამტვრევთაგანი დაეცა აბედს და იმ წამს გაუჩინა ცეცხლი, სითბო გაჩნდა კვესის ტალზე.—**დაადეთ** აბედი ჩიბუხს და შეექეცით: მეკი მეორე რასმე გეტყვით კიდევ.—**თქვენ** ყველამ იცით **რომ**, **როცა** ურმის ღერძზე საპნის წასმა დაგვიწყებიათ, ხშირათ ცეცხლი გაჰჩენია ხოლმე გზაში; ანა და, **რომ** აიღოთ ხელში ორი ნაჭერი ხისა და რამდენიმე ხანი უსვათ ერთი მეორეს, იმ წამსვე ორივე ისე გათბება, **რომ** ხელსაც ვეღარ მოჰკიდებთ და დიდხანს თუ არ დააწყნარეთ ხეხა, უსათუოთ ან ერთსა **და** ან მეორეს ცეცხლი გაუჩნდება; ზოგიერთ ბარბაროსულ ხალხში, საკა არც კვეს-აბედის და არც საჩიკის ხმარება იციან, ამ ნაირათ აჩენენ ხოლმე ცეცხლსა.—**მაშა** სადამე ამ შემთხვევიდან ვხედავთ, **რომ** სითბო და ცეცხლი ჩნდება აგრეთვე ხეხვისაგან.—

X X

ამას გარდა სითბო ჩნდება აგრეთვე ლპობისაგან. **ვის** არ შეუნიშნავს, **რომ** **როცა** ახალი, გაუმშრალი თივის ზვინი დაიწყებს შიგნიდან, ლპობასა კომლი ამოდის ხოლმე, ხშირათ დამპალი თივისაგან ასდის ისეთი ჰაერი, **რომელსაც** თავის თავათ ეკიდება ხოლმე ცეცხლი. **შეჭველია**, ბევრს შეუნიშნავს ღამე **რაღაც** ნათელი სასაფლაოზე. **ვისაც** არ ესმის მიზეზი ეს სინათლე ეშმაკათ მიაჩნიათ; **იმერეთში** იმას „წმიდანიანს“ ეძახიან და თოფის ტყვიისა არ ეშინიათ, მგონია, ისე, **როგორც** ამისა. **რამდენი** კაცი შეშლილა, **რამდენი** დაფეთებულა ამ „წმიდანიანის“ შიშით. **სწავლულებმა** კი დიდი ხანია გამოიკვლიეს, **რომ** ეს სინათლე ჩნდება იმ ჰაერისაგან, **რომელიც** ასდის დამპალს კაცის გვამს და **რომელსაც** ისეთი თვისება აქვს, **რომ** თავის თავათ აინთება.—

X X

მაგრამ ყველაზე მომატებული სითბო მზისაგან არის. **ვინ** არ იცის, **რომ** მზე ათბობს ქვეყანას? **აგრეთვე** ყველა გრძნობს, **რომ** ზაფხულში უფრო ათბობენ მზის სხივები, ვიდრე ზამთარში; მაგრამ იმას კი ზოგი ვერ მიხვდება, თუ **რატომ** არის ეს ასე. **დაანთეთ** სანთელი და პირდაპირ **იმის** ზევით სამი თითის დადებაზე დაიკავეთ ხელი: **რასაკვირველია**, ხელი დაგვეწვება; ახლა ალის გვერდზე დაიკავეთ ხელი; ერთი საათიც **რომ** გაჩეროთ ის **ამ** ნაირ მდგომარეობაში, სრულებით დაგეწვებათ. **ასეა** მზის სხივების საქმეც: ზაფხულში იმის სხივები პირდა პირ გვეცემიან ჩვენ და ამისგამო ძალიანაც ათბობენ დედა-მიწას და ზამთრით კი **განზე** და ამიტომ იმათ ხეირიანი სითბო არა აქვთ.—

X X

სითბოს ისეთი თვისება აქვს, **რომ** ყველაფერს **ადიდებს**. **წერილ** **რამე** **შუშაში** **რომ** ჩაასხათ წყალი და გაათბოთ, **შენიშნავთ**, **რომ** იმას თავს გადასდივა; ვის არ უნახავს აგრე-

თვე, რომ, როცა წყლით სავსე ქვაბი მდგარა ცეცხლზე, გათბება თუ არა, იმ წამსვე გადმოდიგა; თბილ წყალში ნაბანოებს კაცს არც წაღებში მიუდის ხეირიანათ ფეხი და არც ხელთათმანებში თითები. ბაბერეთ რომელიმე ცხოველის, მაგ. ცხერის, ხარის ან სხვის ბუშტი და მიუშვირეთ ცეცხლს; ცოტა ხანს უკან ის უსათუოთ ბუკოს დაიძახებს და გასკდება. რატომ მოხდა ეს? ამიტომ რომ ის ჰაერი, რომელიც იმაში იყო დამწყვდეული, სითბოსაგან გადიდდა, აღარ დაეტია იქ და ბუშტიც, ნამეტანი ძალა დატანებით, გასკდა. ამ ნაირათვე მოხდება აგრეთვე თოფის სროლაც; წამალს რო მოეკიდება ცეცხლი, ის უეცრათ იქცევა ჰაერათ, რომელიც იმ წამსვე გადიდდება, გასწევს წინ ტყვიას და დიდი ძალით გაისერის.

X X

ზევით ვთქვით, რომ სითბოსაგან ყოველი ნივთი მატულობს, დიდდება მეთქი. სწავლულებმა მოიგონეს ერთი ისეთი უბრალო რამ, რომელიც ცხადათ უჩვენებს კაცს რომლისამე ნივთის სითბოს და სიცივეს; ეს რამ არის სითბოს მაჩვენებელი ან ტერმომეტრი, რომელიც აი როგორ კეთდება: აიღებენ წერილს ქვეშოთ ბუშტიან მინის მასრას, და ჩაასხამენ შიგ ვერცხლის წყალს; მერე ამოსწურავენ ამ მასრიდგან ჰაერსა და შეუკრავენ ზევით თავს; ვერცხლის წყალს იმიტომ ხმარობენ სითბოს საჩვენებლათ, რომ იმას ძალიან კარგათ შეეტყობა ხოლმე ამ წერილ მასრაში სითბოსაგან მომატება და სიცივისაგან დაკლება; ჰაერსკი იმიტომ ამოსწურავენ მასრიდან, რომ არ დაუმალოს ვერცხლის წყალს თავისუფლათ გადიდება ან დაკლება, ამ მინის მასრას მიაკრავენ პატარა ხის ფიცარზე რომ არ გატყდეს გ-დატან-გადმოტანის დროს. ამნაირათ მომზადებულს მასრას ჩასდებენ თოვლში; რასაკვირველია, ვერცხლის წყალი სიცივისაგან დაიწევს ძირს მინის მასრაში, და პატარავდება. იმ ადგილის პირდაპირ საცა გ-ჩერდება ამდროს ვერცხლის წყალი მასრაში, ხეზედ გაუსმენ ხაზს და დანიშნავენ ციფირით 0. მაშ 0 გვიჩვენებს, რომ რომელიმე ნივთი ისე ცივია, როგორც თოვლი. ახლა აიღოთ „სითბოს მაჩვენებელი“ და ჩავდვათ ადუღებულს წყალში. რას იქს ვერცხლის წყალი? რასაკვირველია გადიდდება, ზევით აიწევს სითბოსაგან. იმ ადგილის პირდაპირ საცა ახლა გაჩერდა ვერცხლის წყალი, ფიცარზე გაუსვათ მეორე ხაზი და დაენიშნოთ მეორე ციფირით; ჩვენში 80 (ოთხმოცს) ციფრს სმენ ხოლმე. მაშ 80 უჩვენებს იმისთანა სითბოს, როცა წყალი ადუღდება. მერე იმ ადგილას, რომელიც დარჩება ფიცარზე 0-დან 80-მდი ჰყოფენ პატარ-პატარა ხაზებით 80 ნაწილათ და თითო ნაწილს ერთ „გრადუსს“ ეძახიან წიგნებში. როცა სითბოზე ან სიცივეზე ლაპარაკობენ, ციფირებს მარჯვენა გვერდით პატარა რგოლს უსმენ ხოლმე; მაგალითით ასე: 0^0,20^0 34^0. ეს ნიშნავს, რომ ოთახში, წყალში—გარეთ ჰაერში ან სხვაგან ამა და ამდენი ზომის სითბო არის.—

X X

ციეს ჩრდილოეთის ქვეყნებში სუსხიანი ზამთრის დროს ხშირად 0^0-ზე უფრო ძირს იწევს ხოლმე ვერცხლის წყალი სითბოს მაჩვენებელში, ესე იგი, ჰაერი იქ იმდროს თოვლზე უფრო ცივია; ამნაირი სიცივეები ხანდისხან ჩვენშიაც იცის.—ექიმები ამბობენ, რომ ოთახში 14^0-ზე ნაკლები სითბო არ ვარგა კაცის ჯანმთელობისათვის; ავათმყოფს კი უფრო მომეტებული სითბო სჭირდება.

კაცის სხეული და სისხლი ისე თბილია, რომ ენის ძირზე და იღლიაში რომ ჩაიდვათ სითბოს მაჩვენებელი. ის უჩვენებს 29^0; გრადუსს ავათმყოფებს კიდევ უფრო მეტი სითბო აქვთ სხეულში. ფრინველს საზოგადოთ უფრო თბილი სისხლი აქვს, ვიდრე კაცს; ასე რომ ტერმომეტრი 30^0 გრადუსს აჩვენებს. ბაყაყებისა და თევზების სისხლის სითბო კი 21^0 გრადუსს მეტზე არ ადის; ამიტომაც იმათ „ცივ—სისხლიანებათ“ უწოდებენ; კაცებს, ოთხფეხებს, და ფრთიანებს (ფრინველებს) „თბილ—სისხლიანებს“ ეძახიან.—

ს. მ.

X X

ორიოდე სიტყვა ალექსანდრეს მასწავლებელთა სემინარიაზე.

„კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელმა საზოგადოებამ“ თავის წადილის ასასრულებლათ დაარსებისათანავე გახსნა კავკაზიის სხვა და სხვა ადგილებში ორმოცდა ჩვიდმეტი სახალხო შკოლები, რომლებშიაც ამ წლის დასაწყისში სწავლობდნენ 1228 შაგირდები. საზოგადოებამ თავიდანვე იგრძნო დიდი საჭიროება მასწავლებლებისა ამ შკოლებისთვის. ამ დამაბრკოლებელი მიზეზის ასაცდენად და სახალხო შკოლებისთვის რიგიანი მასწავლებლების მოსამზადებლათ 1866 წ. საზოგადოებამ გახსნა თბილისში თავის ხარჯით ალექსანდრეს მასწავლებელთა სემინარია. სემინარიაში შაგირდებს ეძლევათ საშუალება ყველა იმ ცოდნის მიღებისა, რაც კი გამოადგებათ იმათ შემდეგ ცხოვრებაში; იმის დაარსებაში საზოგადოებამ მიიღო ყურადღებაში, რომ სახალხო მასწავლებელთათვის მაინცა და მაინც დიდი სწავლა არ არის აუცილებელი საჭიროება; იმათთვის საკმაოა ცოტა იცოდნენ, მაგრამ საფუძვლიანათ. ისინი იღებენ ამ სემინარიაში ისეთს სწავლას, რომელიც არგააშორებს ამ ხალხს, რომელშიაც იცხოვრებს: შაგირდებმა თავის მაგალითით უნდა შეაყვარონ ხალხს შრომა და კეთილი ზნეობა.—

ალექსანდრეს სემინარია დახურული სასწავლებელია, ესე იგი, შაგირდები მუდამ იქ დგანან. იქ შესვლის მსურველი 16 წელიწადზე მეტი არ უნდა იყოს; იმას უნდა ჰქონდეს ცოტაოდენი მაინც სწავლა მიღებული. სწავლა გრძელდება სამ წელიწადს. აი რა და რა საგნებს ასწავლიან აქ შაგირდებს. სამღვთო წერილს, რუსულ ენას, სწავლის გარდაცემის ხელოვნებას, არიფმეტიკას, გეომეტრიის დასაწყისს, საზოგადო ისტორიას და გეოგრაფიას (განსაკუთრებითი ყურადღება რუსეთის ისტორიაზე და გეოგრაფიაზეა მიქცეული), ბუნების მეცნიერებას, ჰიგიენას, ხატვას, გალობას და სუფთათ წერასა.

სემინარიაში არის ბიბლიოთეკა, რომელშიაც მოიპოვება მასწავლებელთა და შაგირდებისთვის გამოსადეგი წიგნები რუსულ ენაზედ. ბუნების მეცნიერების სასწავლებლათ აქ არის სხვა და სხვა საჭირო ნივთები.—ყველა ამაებს გარდა სემინარიასთან არის გამართული. 1) წერა-კითხვის შკოლა, რომელშიაც ასწავლიან ამ სემინარიისვე მასწავლებელნი და აგრეთვე შაგირდები, მასწავლებლების ხელმძღვანელობით. 2) თავიანთ სამკურნალოში შაგირდები თვითონ დაიარებიან, უვლიან ავათმყოფებს და ცოტათი მაინც ექიმობას სწავლობენ, ასე რომ შემდეგში, როცა უექიმო სოფელში იცხოვრებენ, იმათ შეუძლიათ მოეხმარონ ავათმყოფებს უბრალო სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუალებით. 3) შაგირდები სწავლობენ მეოსტნობას და ბაღის მოვლას; ამისთვის იქვე სემინარიასთან არის დიდი ბაღი და ბოსტანი; ასე რომ შაგირდებს თვითონვე მოჰყავთ თავის სამყოფი ბოსტნეულობა და ხილი და ამას გარდა გასაყიდიც რჩება. — 4) სემინარიაში ასწავლიან აგრეთვე ხარატობას, მებელის კეთებას, წიგნების ყდის კვრას და წაღების კერვას; ყველა ეს ხელობა, რასაკვირველია, ძალიან გამოსადეგია ყოველი სახალხო მასწავლებლისთვის, რომელსაც, შეიძლება, ისეთ ყრუ სოფელში მოუხდეს ცხოვრება, სადაც არც ხარატი იქნება, არც მეწაღე და სხ. ამას გარდა შაგირდებს ამ ნაირი მუშაობა ჯანს უმატებს. — 5) შაგირდები სახლოსნობას სწავლობენ, ასე რომ მოსამსახურეები თითქმის სრულიათაც არ სჭირდებათ. —

უეჭველია, რომ, თუ ყველა ეს სწავლა თადარიგით გადასცეს სემინარიის შაგირდებს, იქიდან ძალიან კარგი და ქვეყნის მარგებელი სახალხო მასწავლებლები გამოვლენ. —

ელეგია.

ვხედავ, ამ სოფლად არა მაქვს შველა,
სჯობს, რომ ვეძიო სხვაგან ბინაკი;
ვისაც შევხედავ, მემდურის ყველა
და ეზიზღებათ მათ ლაპარაკი.

—

ის საიმედო ქვეყნად ქმნილება,
რომელიც ჩემი მხსნელი მგონია,
თურმე ორპირობს და მეფერება,
თურმე მას გულში სხვა რამ ჰქონია!

—

ყურში ჩურჩული, პირმოთნეობა,
დახედეთ, როგორ გახშირებულა.
თქვენ რომ გინახავთ, ის წმინდა ვერცხლი
ამ დროებაში გაყალბებულა.

—

ჰხედავთ, აგერ კაცს ჰკვნესის, გულჩვილობს
და ამბობს: „ჩემი სამშობლო მიყვარს“;
მაგრამ შეატყობთ, რომ ის ორპირობს,
და მოძმეს სისხლით მას ხელი უყარს.

—

ამის შემხედავს რათ მეძრახება,
ვიყო მტირალი, სული მხთებოდეს,
კაცის სიცოცხლე და ნეტარება —
ყველანი ერთათ მავიწყდებოდეს.

—

მე აღარ ვეძებ, არ მენაღვლება,
თუნდ უბედური ბედი მხვდებოდეს,
და გული ისე არ მომიკვდება,
რომ ბედნიერი ვინმე მრჩებოდეს.

—

მაგრამ არ ვხედავ, არ ველი შველას..
და-ყორნებმა მაინც დამღერონ.
და ვსთხოვ მოძმებსა ერთობით ყველას
ჩემს გულის ლოდზე ასე დასწერონ:

—

„მოიხსენიეთ აქა მდებარე
მხთალის სოფლისგან ადრე დამჭკნარი.
ვისაც მიენდო, ყველგან წააგო
და მისთვის არის ლოდ ქვეშ მწოლარი!“

—

მაშინ, ვინ იცის, ეგებ გამოჩნდეს
ადამიანი, რომ თანამიგრძნოს
და ჩემი გულის უხსნელი დარდი
ამ სტრიქონებში მან გამოიცნოს.

გ. ჭალადიდელი.

ქ. ქუთაისი
1869 წ.

ბავშვის ჩივილი.

(დობროლიუბოვიდამ).

მითხარით, ხელებს რისთვისა მიკრავთ,
არტაშებს ტანზედ რისთვისა მახვევთ?
ბაჩენის უმალ რისთვის მაწუხებთ,
ცხოვრების ტანჯვას რათ მაცთევინებთ?

—

უიმისოთაც ჯაჭვების თრევას
გულზედ და ტანზედ საკმაოდ ველი!
მხურვალ გულის გარ შემომეხვევა
ველების გუნდი ჩემ დამღუპველი.

—

ადამიანის მრუდე ქცევასა
და ნაკურთხს ძველსა ჩვეულებასა,
მოდაზედ ქცევას, გაზდილობასა...
უნდა ვემონო — აი მე რასა...

—

მაშ ნუ წამართმევთ თავისუფლებას,
გეხვეწებით მე, თუნდ ბავშვობაში!
ნუ უშლით გულსა სულის ამოთქმას,
რომ მე ოდესმე შავ დროებაში
ჩემს სიყმაწვილეს მოვიგონებდე
და იმას მაინც აღარ ვსწყევლიდე!

დ. მ.

სხვა და სხვა ამბები.

ამ წელს გაზაფხულზე გახსნეს მოსკოვში ვაჟების სახელოსნო შკოლა; ამ შკოლაში იღებენ ხოლმე ღარიბების შვილებს და ასწავლიან სხვა და სხვა ხელობას, როგორც მაგალითად ხარატობას, მჭედლობას, დურგლობას, ყდის კვრას და სხვ. ამას გარდა აქვე ასწავლიან წერა-კითხვას და ანგარიშს. —

გაზეთი „ოდესის უწყება“ ამბობს, რომ ამ ქალაქში აპირობენ სახლის გაკეთებას ობოლი ქალებისთვის; ამ სახლში ახალგაზრდა უპატრონო ქალები იცხოვრებენ საზოგადების ხარჯით და ცოტაოდენ სწავლას და რომელიმე ხელობის ცოდნასაც მიიღებენ. შემდეგში, როცა ისინი გაიზრდებიან, გამოუშვებენ ამ სახლიდან და თვითონ უნდა დაირჩინონ თავის თავი, ამბობენ, რომ ოდესის მცხოვრებლებს ბევრი შეუწირავთ ამ სამადლო საქმის სისრულეში მოსაყვანათო.

ქ. კიევის მცხოვრებლებმა შეკრიბეს ფულები წელს ხელმწიფე იმპერატორის დასახვედრათ, როცა იქ გაიარა: მაგრამ იმპერატორმა მოისურვა, რომ ეს ფულები რომლისა სასარგებლო საქმისათვის მოეხმარათ. კიევის მცხოვრებლები აპირებენ ეხლა სახელოსნო შკოლის გახსნას, რომელსაც ერქმევა სახელად „შკოლა მეფე — განმათავისუფლებელის ალექსანდრე II-სა. ამ შკოლისთვის შეკრებილია ახლა ოცდა ათი ათასი მანეთი, აქაური ვაჭრები დაჰპირდენ კიდევ ყოველ წლივ ფულების შეწირვას ამ საქმისთვის, სანამ თავნი 29 ათას მანეთამდი არ მიაღწევს. ამას გარდა ერთმა აფიცარმა უანდერძა შკოლას 22 ათასი მანეთი. —

აი როგორ ყურადღებას აქცევს თვითონ საზოგადოება რუსეთში ამისთანა სასარგებლო საქმეებსა. ჩვენში კი ყველა თავის თავისთვის ცდილობს და ის კი არ ესმით, რომ, თუ რომელიმე ერი კეთილდღეობაში იქმნება, მაშინ ყველა ცალკე პირებიც უკეთ და უფრო ბედნიერათაც იცხოვრებენ.

ოდესაში ოთხ ლვინობის თვიდგან დაწყებული ხორბალს ფასი აკლდებოდა, ასე რომ ვაჭრებმა გააჩერეს გაყიდვა, იქნება შემდეგ უკეთეს ფასათ გავყიდოთო.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8-го ноября 1869 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.